ალექსანდრე დაუშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

კიდევ ერთხელ ე. წ. „მეგრელთა საქმის" შესახებ

50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კომპარტია კიდევ ერთხელ შეარყია მოსკოვიდან გამოგზავნლმა დადგენილებამ „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ" [1, 8-13]. ეს დადგენილება ისტორიოგრაფიაში უფრო ცნობილია როგორც „მეგრელთა საქმე" და მიჩნეულია, რომ „საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები გამოწვეული იყო ხელმძღვანელი კადრების არასწორი შერჩევით" [2, 382]. არის ასეთი შეფასებაც: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა შემრიგებლობას იჩენდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისადმი, გვერდს უვლიდა სოციალისტური კანონიერების ძალზე უხეში დარღვევების ფაქტებს, ხელს უწყობდა პირადული კეთილდღეობისა და თვითდამშვიდების ვითარების შექმნას" [3, 826] და ა. შ. დადგენილებამ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მის აღსრულებას პირადად ი. ბ. სტალინი კურირებდა. ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე პლენუმი, ერთ-ერთ პლენუმს უშუალოდ ლ. ბერიაც კი დაესწრო. დაიწყო ამ დადგენილების განხილვის შეუქცევადი პროცესი, რომელშიც დაახლოებით 140 ათასმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა, სიტყვით გამოვიდა 33 ათასი კაცი, დააპ-

ატიმრეს რამდენიმე ათეული თანამდებობის პირი, დადგენილების აღსრულებაში დაშვებული შეცდომებების, გაჭიანურებისა და გამოვლენილი „გულგრილობის“ გამო გამოიცვალა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობაც და ა. შ. ამრიგად, საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და მან გარკვეული დაღიც კი დაასვა 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ პრობლემას აფიქსირებდა, თუმცა მისი დეტალური შესწავლისაგან თავს, გასაგები მიხზეზების გამო, აშკარა იკავებდა, იფარგლებოდა ზოგადი ფრაზეოლოგიით. ითვლებოდა, რომ „1951 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ სახელმწიო უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა შეაკონწიწეს ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმე“ მეგრელ ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფს წაუყენეს ადგილობრივი (მეგრული) ნაციონალიზმის მძიმე ბრალდება“ [2, 382].

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში საკითხის მიმართ ინტერესი უაღრესად გაიზარდა – რუსეთში ანტიკომუნისტური, ლიბერალური მიმართულება ამ საკითხს იყენებდა კომუნისტური რეჟიმის დისკრედიტაციის მიზნით, მისი ძალადობრივი ბუნების დასახასიათებლად, არსებული უკანონობისა და ლაგამამოუდებელი რეპრესიების დასადასტურებლად [13, 309-311]. ცნობილი რუსი ისტორიკოსის, იური ჟუკოვი თავის საყურადღებო მონოგრაფიაში, რომელიც სტალინის საკადრო პოლიტიკას ეხება და დეტალურად არის შესწავლილი მრავალი ათეული წლის მანძილზე სტალინის მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებების გენეზისი და მისი შედეგები, „მეგრელთა საქმეს“ უფრო კრიმინალურ და არა პოლიტიკურ საფუძვლებს უძებნის [14, 565]. ცნობილი სტალინოლოგები, მამა-შვილი რიბასები, გარკვეული აზრით, ამ პრობლემას და მიღებულ დადგენილებას კრემლის კულუარებში მიმდინარე ძალაუფლებისათვის ბრძოლას უკავშირებენ, როცა თვლიან რომ ამით სტალინი ცდილობდა დაერეგულირებინა ურთიერთობები თავის პოტენციურ მემკვიდრეებს: მალენკოვს, ხრუშჩოვსა და ბერიას შორის [15,577]. საყურადღებოა, რომ

ფრანგი სოვეტოლოგი ნიკოლას ვარტი საქართველოში მიმდინარე პროცესებში უფრო ეთნიკურ მდგენელს ხედავს [16, 375]. ფიგურირებს მოსაზრებაც, რომ ი. ბ. სტალინს ეს დადგენილება დასჭირდა „დიდი მეგრელის", ლავრენტი ბერიას პოლიტიკური ზეგავლენის დასასუსტებლად [17,154].

პოსტსაბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც შესამჩნევია ამ საკითხით გარკვეული დაინტერესება. საკითხის გარშემო თავისი მოსაზრებები სხვადასხვა დროს დააფიქსირეს: ა. და პ. სურგულაძეებმა [4, 292], ო. ჯანელიძემ [5, 185], ა. წინკოლაურმა [8, 175], ა. ასლანიშვილმა [1, 50], გ. ციციშვილმა [6, 45], მ. ნათმელაძემ და ა. დაუშვილმა [7, 259] და სხვებმა. ჩვენ მეტად მნიშვნელოვნად გვესახება პროფ. ა. წინკოლაურის შემდეგი შენიშვნა: „ავბედითი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის 1951 წელი. ამ წლის ბოლოსვე დაიწყო ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმე", რომლის საიდუმლო ბოლომდე არ არის გახსნილი". მთლიანად ვიზიარებთ პროფ. ა. წინკოლაურის ამ მოსაზრებას და შევეცდებით საკითხის გარშემო ჩვენს მიერ ბოლო პერიოდში მიკვლეული ზოგიერთი ფაქტი და მოსაზრება შევთავაზო მკითხველს. მით უფრო, რომ ბოლო წლებში როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც გამოქვეყნდა მეტად საინტერესო მემუარული და დოკუმენტური მასალა, რომელიც ბოლომდე თუ არა, რაღაც ნაწილით მაინც გახნის იმ საიდუმლოს, რომელსაც „მეგრელთა საქმე" ჰქვია. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების კანდიდ ჩარკვიანისა [9, 60] და აკაკი მგელაძის [11, 180-181] მემუარები, ასევე მოსკოვში გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული, რომელშიც ძირითადად ლ. ბერიას ლიკვიდაციის პროცესებთან დაკავშირებული დოკუმენტებია თავმოყრილი, მაგრამ არის ლ. ბერიას პოსტსტალინურ პერიოდში გამოთქმული ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე გაჟღერებული შეხედულებებიც [12, 32]. ეს მასალები სართოდ არ იყო გამოყენებული ქართულ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

როდის და ვის მიერ იყო ინიციირებული „მეგრელთა საქმე"?

ლავრენტი ბერია სკკპ ცეკას პრეზიდიუმისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც 1953 წლის 8 აპრილით თარიღდება, ამ საქმის ინიციატორად ასახელებს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ნ. რუხაძეს, რომელმაც „1951 წლის შემოდგომაზე საქართველოში დასასვენებულად მყოფ ი.ბ. სტალინს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ის დაუკავშირა მის მიერ გამოგონილ მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის მტრულ და დივერსიულ საქმიანობას“ [12,30]. საყურადღებოა, რომ ლ. ბერია ინიციატორებს შორის არ ასახელებს საქართველოს კომპარტიის არც ძველ (კ. ჩარკვიანს) და არც ახალ (ა.მგელაძეს) ხელმძღვანელს, თუმცა მის მოხსენებით ბარათში ორივენი გაკრიტიკებულნი არიან პარტიული სიფხიზლის მოდუნების გამო, რამაც ნ. რუხაძეს „მეგრელთა საქმის“ ფალსიფიცირების შესაძლებლობა მისცა.

ლ. ბერიასაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს კანდიდ ჩარკვიანს. ის თავის, საკმაოდ მოგვიანებით, დაწერილ მოგონებებში „მეგრელთა საქმის“ ინიციატორად თვლის საქ. კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს. აი, კ. ჩარკივანის პოზიცია: „მგელაძის აზრით ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბარამია ზის ცენტრალურ კომიტეტში და მეგრელებს იცავსო. მერე იყო ერთი მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე, რომელმაც ქრთამი აიღო და ეს სამი ფაქტი იყო სულ. დანარჩენი უკვე სტალინმა საკუთარი ფანტაზიით დაუმატა. აქედან შეიქმნა იმხელა მითი, რომ ცკ-ს ხელმძღვანელობა მოხსნეს, მეგრელები დაიჭირეს“ [10, 44]. აქ აშკარაა, რომ კ. ჩარკვიანი პრობლემის გამარტივებას ცდილობს: ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მხოლოდ ორი-სამი მექრთამე იყო. ის რომ საკითხის აქტუალიზაციის ინიციატორი ა. მგელაძე იყო, ამის შესახებ ალაპარაკდა, თუმცა ასევე ძალიან გვიან, 90-იანი წლების დასაწყისში, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. მირცხულავაც, რომელსაც ა. მგელაძის შემდეგ სულ რამდენიმე თვე ეკავა აღნიშნული თანამდებობა.

უშუალოდ აკაკი მგელაძე თავის მემუარებში კი საკითხის აქტუალიზებას უკავშირებს საქართველოს კომპარტიაში შექმნილი ვითარებაზე სტალინის წუხილს. როგორც ა. მგელაძე იგონებს, მასთან საუბარში სტალინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „რესპუბლიკაში გავრცელებულია მექრთამეობა, ხაზინის ქურდობა, სოციალისტური ქონების დატაცება“ [11, 160-161]. არც ერთი აქ ჩამოთვლილი მანკიერება უცხო არ იყო საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემისათვის თავისი არსებობის თითქმის ყველა ეტაპზე, თუმცა სტალინის მმართველობის პერიოდში ამ მანკიერებას ძალიან მკაცრად ებრძოდნენ, მაგრამ ის ბოლომდე მაინც ვერ აღმოფხვრეს.

ჩემი აზრით, იმჟამად ამ საკითხის აქტუალიზება გამოიწვია კიდევ ერთმა სახიფათო ტენდენციამ – საქმე ისაა, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლეს პარტიულ და სამხედრო ნომენკლატურაში თვალში საცემი გახდა ე. წ. „მარშლების სინდრომი“, რაც ასე კარგად აქვს აღწერილი ე. ტარლეს თავის საქვეყნოდ ცნობილ ნაშრომში „ნაპოლეონი“. „მარშლების სინდრომი“ არის ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებში საკმაოდ გავრცელებული ტენდენცია, როცა უმაღლესი თანამდებობის პირები, ღარიბი სოციალური ფენებიდან გამოსულებიც კი, ხანგრძლივად მაღალ თანამდებობაზე ყოფნის შემდეგ, ბიუროკრატიული და სხვა ფაქტორების ზეგავლენით, „ცხოვრების სიკეთეების მიღების სურვილით“ იმუხტებიან და აშკარად ფერს იცვლიან. ნაპოლეონის მარშლებს გარკვეულ ეტაპზე მობეზრდათ გაუთავებელ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა და თავიანთ სასახლეებში ჰედონიზმით ტკბობის სურვილი გაუჩნდათ. საბჭოთა სინამდვილეში ეს სინდრომი ყველაზე უკეთ გამოვლინდა მარშალ გ. ჟუკოვის ინციდენტის დროს, როცა სახელოვანი გენერალი გერმანიაში უკანონოდ მოხვეჭილი დიდძალი ქონების მითვისებაში ამხილეს. ომის დასრულების შემდეგ კორუფციის შემთხვევები მოხდა საქართველოშიც. ი. სტალინს მუდამ აინტერესებდა საქართველოს კომპარტიის ზედა ფენებში კომუნისტური ზნეობისა და ეთიკის საკითხები, მათი დარღვევების ფაქტები, მათზე საქართველოს კომპარტიის

ხელმძღვანელების რეაგირების ხარისხი. როგორც ჩანს, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (და შეიძლება სხვებიც) თავისი ინფორმაციებით კიდევ უფრო ავსებდა და ამყარებდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის კრიტიკულ შეხედულებებს საქართველოს ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენლის თვალშისაცემი კორუფციისა და ანტიკომუნისტური ცხოვრების წესის შესახებ. საქართველოში მართლაც მოხდა ფაქტი, რომელიც სტალინის ყურამდე მივიდა და მისი განრისხება გამოიწვია. სტალინი თავისი ცხოვრების წესით ასკეტი იყო და პირად ცხოვრებაში მაქსიმალურად ცდილობდა დაეცვა დაწერილი თუ დაუწერელი კომუნისტური კანონები. ამიტომაც ძალიან მკაცრი იყო მისი რეაქცია ფაქტზე, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბაქრაძემ, სახელმწიფო სახსრებით, თბილისში პარტიული ნომენკლატურის ცალკეული წარმომადგენლებისათვის ააშენა უნიკალური სამსართულიანი შენობა, მდიდრულად მოპირკეთებული, ინკრუსტირებული ოთახებითა და ფეშენებლური კაბინეტ-დარბაზებით. სტალინის გადაწყვეტილებით ე. წ. „ბაქრაძის სახლი" გადაეცა თბილისის აღმასკომს ბაგა-ბაღის მოსაწყობად. ამ შენობაში დღესაც ბაღია. კიდევ უფრო უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ძველი ბოლშევიკისა და სტალინის პირადი მეგობრის გიორგი სტურუას საქციელმა, რომელმაც სამთავრობო აგარაკზე, რომელსაც ის დროებით განკარგავდა, სახელმწიფო სახსრებით მოაწყო მეძროხეობის ფერმა, ბოსტანი და მიღებულ რძესა და ბოსტნეულს ადგილობრივ კოოპერტივებში ყიდდა და თანხას ითვისებდა [11, 18]. კომუნისტური მორალის დამრღვევი პარტიული ლიდერები იმჟამად სასწრაფოდ გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან. ამრიგად, საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ზედა ეშელონებში „მარშლების სინდრომი" – ცხოვრებისეული სიკეთეებისადმი ლტოლვა აშკარად შემაშფოთებელ მასშტაბებს იღებდა. სწორედ აქედან გამომდინარე, სკკპ ცეკას დადგენილების ერთ პარაგრაფში ხაზგასმით მითითებულია შემ-

დეგი თეზისი: „უკანასკნელ ხანს სკპ (ბ) ცკ-ში შემოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ძალიან არის გავრცელებული მექრთამეობა, რომ იქ მექრთამეობასთან ბრძოლა ერთობ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს“ [1, 8]. ეს დასკვნა საფუძველს მოკლებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამის მაგალითები საზოგადოების სხვა ფენებშიც შესამჩნევი იქნებოდა. როგორც ჩანს, სტალინმა პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის გახრწნისა და გადაგვარების წინააღმდეგ საბრძოლველად რეპრესიებზე უკეთესი მექანიზმი ვერ მოიფიქრა.

მაგრამ დადგენილების ძირითადი ადრესატი არა გიორგი სტურუა ან ვალერიან ბაქრაძე აღმოჩნდნენ, არამედ საქ. კპ ცეკას მეორე მდივანი მიხეილ ბარამია, შედარებით ახალი კაცი საქართველოს უმაღლეს პარტიულ ეშელონებში, თუმცა სხვადასხვა დროს ის მუშაობდა რეგიონალურ პარტიულ ორგანიზაციებში (აჭარაში, აფხაზეთში) საკმაოდ მაღალ პარტიულ თანამდებობებზე. როგორც ჩანს, მისთვის, გარკვეულწილად, დამახასიათებელი ყოფილა კუთხურობა, ნათელმირონობა, პროტექციონიზმი. არც ერთი ეს თვისება არ არის „შეთითხნილი“ – სამწუხაროდ საქართველოში მათი არსებობა დადასტურებული ფაქტი მუდამ იყო, არის და, ალბათ, მომავალშიც იქნება. ეს კი, ჩემი აზრით, უკომპრომისო ბრძოლას საჭიროებს.

დადგენილების გამოქვეყნებისთანავე, უკვე ჩამოყალიბებული პარტიული კანონების საფუძველზე, დაიწყო დადგენილებაზე რეაგირება. უპირველეს ყოვლისა შეიკრიბა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (1951 წ. 11-12 ნოემბერი). პლენუმს საქართველოს კომპარტიის იმჟამინდელი მეორე მდივანი მიხეილ ბარამიაც ესწრებოდა, რომელიც უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას და ითხოვდა ი. სტალინთან პირად შეხვედრას, არგუმენტირებული პასუხის გასაცემად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ჩარკვიანმა მოსკოვიდან მომდინარე ბრალდებები სამართლიანად ჩათვალა და თავის თავზეც აიღო პასუხისმგებლობა ამ დარღვევე-

ბის, დამნაშავეთა მიმართ იმ ლიბერალური დამოკიდებულებისათვის, რაც საქართველოში შესამჩნევი იყო და რაზეც საკავშირო ცეკამ მათ ასე ობიექტურად მიუთითა [18, 3]. ქართველი კომუნისტების ლიდერის შეფასებით, საქართველოს კომუნისტების ზედაფენაში გავრცელებული მანკიერი დარღვევების გამომწვევი მიზეზი იყო: „ორგანიზაციაში განვითარებული ყოყოჩობა, მიღწევების გადაჭარბებული შეფასება; დამნაშავეთა მიმართ ლიბერალური დამოკიდებულება, ბოლშევიკური ჰუმანურობის არასწორი გააზრება; საბჭოთა კანონმდებლობის მიმართ ფორმალური დამოკიდებულება („ფიქრობენ ჩინოვნიკები, რომ კანონები მათთვის არაა დაწერილი"); როგორც ჩანს, შესამჩნევი ყოფილა „იაფფასიანი ავტორიტეტისათვის გამოკიდება" და ა. შ.

ბრალდებულმა მ. ბარამიამ პლენუმზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ მან ძალიან დააშავა ზოგიერთ ისეთ საკითხში ჩარევით, რომელშიც არ უნდა ჩარეულიყო. პლენუმზე სიტყვით ბევრი გამოვიდა, მათ შორის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახალგაზრდა მდივანი ა. მგელაძეც. მან მოითხოვა ებრძოლათ მლიქვნელობისა და მაამებლობის წინააღმდეგ, პარტიაში ერთხელ და საბოლოოდ დაესრულებინათ „პანიბრატული" დამოკიდებულება, ისეთი „ფაქტები, როცა პრინციპული დამოკიდებულება იცვლება სამეგობრო ურთიერთობებით". პლენუმზე სიტყვით გამომსვლელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკავშირო ცეკას დადგენილებას და დაგმეს საქართველოს კომპარტიაში შექმნილი ანტიპარტიული ჯგუფი. მ. ბარამია გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, ასევე რეპრესიები განიცადეს მ. ბარამიასთან დაკავშირებულმა სხვა პარტიულმა თუ სახელმწიფო მოხელეებმა (რაფავამ, შარიამ, შონიამ და სხვ.). მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა, მიეღო ქმედითი ზომები, აღმოეფხვრა მეგრული ნაციონალიზმის ჯგუფის საქმიანობა და მომავალში მოეხდინა ნებისმიერი ნაციონალისტური ჯგუფის ლიკვიდაცია, გამოევლინა ამ ჯგუფის ყველა ფარული

თუ აშკარა წევრები და მათ წინააღმდეგ გაეტარებინა სათანადო ზომები [18, 7].

ამ დადგენილების მიღებიდან ძალიან მალე, უკვე 1951 წლის 20 დეკემბერს, თბილისში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ამ დადგენილების აღსრულების მიმდინარეობის საკითხი. პლენუმზე წარმოდგენილ ანგარიშში საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მათ დროის მოკლე მონაკვეთში შეძლეს საქართველოს კომპარტიის ყოველი წევრის ინფორმირება დადგენილების მნიშვნელობის შესახებ, დაიგზავნა დახურული წერილი პარტიულ ორგანიზაციებში, რაიონებში. პარტიის წევრებთან შესახვედრად გაემგზავრნენ პარტიის ხელმძღვანელი მუშაკებიც, რომლებიც ადგილებზე გაეცნენ არსებულ ვითარებას, „ჩატარდა ინსტრუქტაჟი, დაეხმარნენ რაიკომებს საკითხების დამუშავებაში". ამტკიცებდნენ, რომ დადგენილების განხილვას დაესწრო პარტიის 140 000 წევრი, სიტყვით გამოვიდა 33 ათასი კომუნისტი, რომ საკავშირო დადგენილების განხილვა „მიმდინარეობდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში". დადასტურდა ის ფაქტებიც, რომ დადგენილების მოთხოვნების რეალიზების დროს სხვადასხვა კუთხეში გამოვლინდა „მექრთამეობის, „პანიბრატელობის", ნათელმირონობის უხეში ფაქტები" [19, 3].

საგულისხმოა, რომ 1952 წლის 1 აპრილს, საქ. კპ ცეკას VIII პლენუმზე დასასწრებად, მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოვიდა ლ. ბერია, რომელმაც მოხსენება გააკეთა პლენუმზე და შეხვდა პარტიულ აქტივს. საქმე ისაა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პერიოდში მიიღო ახალი დადგენილება „საქართველოს კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ" და სწორედ ლ. ბერიას დაევალა ამ საკითხზე მოხსენების გაკეთება. ლ. ბერიამ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვში მიდის შეტყობინებები იმის შესახებ, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მ. ბარამიას ანტიპარტიული დაჯგუფების საქმიანობის შესახებ ასრულებს

„ნელა და არასათანადო შეტევით“. ლ. ბერია მოითხოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების რეალიზების დროს „თამამად და გადაწყვეტით გავხსნათ ქვემოდან კრიტიკის კლაპანი და განვავითაროთ თვითკრიტიკა პარტიულ ორგანიზაციებში. მკაცრად განვახორციელოთ შიდა დემოკრატია თავიდან ბოლომდე... საქართველოს კომპარტიაში ჯერ კიდევ გავრცელებულია თვითკმაყოფილება, პირადული კეთილდღეობის ატმოსფერო და სამეურნეო წარმატებებით ყოყოჩობა“ [20, 2]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლ. ბერიას, პლენუმზე გამოსვლის დროს, არც გაუპროტესტებია არც ერთი ფაქტი და არც თავდებში არ დაუდგა მ. ბარამიასა და მის ე. წ, „ანტიპარტიულ ჯგუფს“. პირიქით, მან შეაქო საქართველოს უშიშროების სამინისტრო და ამ სამსახურის მუშაკები გაწეული საგამომძიებლო საქმიანობისათვის [20, 7].

მიუხედავად მცდელობისა, თავის მართლებისა, კანდიდ ჩარკვიანს მაინც დაბრალდა საკავშირო დადგენილების რეალიზაციის საქმეში არასათანადო გულისხმიერი დამოკიდებულება და ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, პირადად სტალინის რეკომენდაციით, მის მაგივრად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს აკაკი მგელაძე.

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოვლენილი საარქივო დოკუმენტების, მემუარული და სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დგინდება საკ. კპ. (ბ) ცეკას 1951 წლის ნოემბრის დადგენილების ოთხი ძირითადი მდგენელი: 1. კრიმინალური (კორუფცია-მექრთამეობა); 2. პოლიტიკური (მოსკოვის კრემლის სამთავრობო კულუარებში ძალაუფლების დაბალანსების სურვილი); 3. ბიუროკრატიული („მარშლების სინდრომი“); 4. სეპარატისტული (კუთხური ნაციონალიზმი).

რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ: უპირველეს ყოვლისა ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. წოწკოლაურს, რომ „ავბედითი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის 1951 წელი“. საბჭოთა ტრადიციით, პარტიული ცხოვრება, განსაკუთრებით ცეკას პლენუმზე განსა-

ხილველი საკითხები იხილებოდა „დაკეტილ კარს მიღმა“, „სრულიად საიდუმლოდ“. საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს პლენუმზე მიმდინარე დებატების დეტალური შინაარსი, მით უფრო მაშინ, როცა საკითხი ეხებოდა პარტიის ხელმძღვანელ მუშაკებს, მათ მიმართ განხორციელებული ორგანიზაციულ-სადამსჯელო ნაბიჯებს, ნაკლებად მიეწოდებოდა – პარტიულ პრესაში კეთდებოდა მეტად ზოგადი, არაფრისმთქმელი ოფიციალური განცხადება. ასეთ საკითხებს ჰქონდა ვიწრო პარტიული დანიშნულება. აქვე მსურს ერთ, მეტად საჭირბოროტო საკითხსაც შევეხო – ალბათ დროა უკვე მკვეთრად გაიმიჯნოს საბჭოთა რეპრესიები კომუნისტებისა და არაკომუნისტების მიმართ. მიმაჩნია, რომ კომუნისტების მიმართ განხორციელებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების მკაცრი ზომები წინასწარ იგულისხმებოდა კომუნისტური პარტიის საწესდებო დებულებებით, რომელსაც კანონიკურად აღიარებდა თითოეული კომუნისტი. ქართველმა და არაქართველმა კომუნისტებმა თვითონ შექმნეს ის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურა, რომელშიც თავადვე ცხოვრობდნენ და სხვებსაც აცხოვრებდნენ, მათ თვითონ ჩამოაყალიბეს რეპრესიების არსებული მექანიზმი – რაც იმჟამად გაბატონებული იყო ქვეყანაში, ისინი თვითონ განსჯიდნენ ზედმეტად მკაცრად სხვებს, და აქედან გამომდინარე, სხვებიც ასეთივე სიმკაცრით უდგებოდნენ მათ. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ რეპრესიებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს პარტიული ნიშნით მკვეთრი დიფერენციაცია.

ახლა ისევ პარტიულ დადგენილებას მივუბრუნდებით...

აშკარაა, რომ საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებშიც მექრთამეობა, კუთხურობა, კუთხური პატრიოტიზმი, ნათელმირონობა, მეგობარ-ნათესაობა, პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი საკმაოდ ფეხმოკიდებულია და მას, როგორც ყველა ქვეყანაში, მხოლოდ ბოროტება შეეძლო მოეტანა საზოგადოებისათვის. თავისთავად ეს ფაქტები ადვილად დასაჯერებელი მოტივია, რა თქმა უნდა, მათთვის, ვინც სიღრმისეულად იცნობს საბჭოთა სისტემის განვითა-

რების თავისებურებებს. მაგრამ მე მინდა ამ დადგენილების იმ ნაწილს შევეხო, რომელიც ზემოაღნიშნულ პლენუმებზე საკითხის აქტუალიზების საფუძველი, დებატების გახსნის მიზეზი, ან აზრის გამოთქმის საბაბი გახდა. ჩემი აზრით, დადგენილების ეს ადგილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა პერსონალური საკითხი ან პარტიულ ზედაფენაში შემჩნეული მექრთამეობის პრობლემა. მ. ბარამიასთან დაკავშირებულ დადგენილებაში არის ასეთი შენიშვნა: „უეჭველია, რომ თუ ამხ. ბარამიას მიერ დანერგილი მეგრული შეფობის ანტიპარტიული პრინციპი სათანადო წინააღმდეგობას არ წააწყდება, თავს წამოჰყოფენ ახალი „შეფები" საქართველოს სხვა პროვინციებიდან: ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, რომლებიც ასევე მოისურვებენ „თავისი" პროვინციების შეფობას და იქ დანაშაულის ჩამდენთა მფარველობას, რათა ამით განიმტკიცონ ავტორიტეტი „მასებში", და თუ ეს მოხდა, საქართველოს კომპარტია დაიშლება რამდენიმე პროვინციულ პარტიულ სამთავროდ, რომლებსაც „რეალური" ხელისუფლება ექნებათ, საქართველოს კპ (ბ) ცკ-ისა და მისი ხელმძღვანელობისაგან კი მხოლოდ ცარიელი ადგილი დარჩება" [1,12]. ჩემი აზრით, ეს შენიშვნა საერთოდ გამორიცხავს საქართველოს რომელიმე კონკრეტულ კუთხეს და ეთნოგრაფიულ ჯგუფს, და ის უფრო ფართო ამოცანას აყენებს – ეს არის საქართველოს ერთიანობის იდეა. აქსიომაა – სეპარატიზმის ყოველი გამოვლენა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში უნდა აღმოიფხვრას მკაცრად და პრინციპულად, რადგან თუ ეს არ მოხდა, „საქართველო (კომპარტია) დაიშლება რამდენიმე პროვინციულ (პარტიულ) სამთავროდ". სავარაუდოა, რომ ი. სტალინი, რომელიც 20-იან წლებში აქტიურად იყო ჩართული აჭარის ავტონომიის შექმნის პროცესებში და ახსოვდა აჭარაში 1925-1927 წლებში განვითარებული მოვლენები, საქართველოდან თურქეთში მასობრივი გადასახლების შემთხვევები, აჭარის ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის პროთურქული ტენდენციები, სამეგრელოში 20-იანი წლების შუა ხანებში „მაფალუსა" და მაფალუელთა მცდელობები, მიეღწიათ სამეგრელოს ავტონომიური

სტატუსისათვის და ამ მიზნით პირადად სტალინთან და კალინინთანაც კი დადიოდნენ (როგორც ამას ამტკიცებდა მათი ლიდერი ი. ჟვანია) [20, 1-2], აფხაზეთში 1931 წელს განვითარებული მოვლენები, როცა გარკვეული ჯგუფები ანტიქართულ და პროთურქული ლოზუნგებით გამოდიოდნენ [21, 7], მაშინ გასაგები გახდება საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების მთელი სიმწვავეც და ა. შ.

ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, საქართველოს ერთიანობა და განუყოფლობა ქართველი მამულიშვილებისთვის მუდამ უმნიშვნელოვანესი და ძირითადი ამოცანა იყო. მათთვის მიუღებელია ყოველგვარი კომპრომისი და მიჩუმათება, როცა საკითხი ქართველი ერის ერთიანობას ეხებოდა. ზემოაღნიშნული დადგენილების ეს გამორჩეული ადგილი ძალიან მაგონებს კ. გამსახურდიას მიერ ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულში დაწერილ შემდეგ სიტყვებს: „პარტიკულარიზმი საქართველოს წარსულში ერთი დამღუპველ მიზეზთაგანი იყო. ახალმა საქართველომ უნდა უარყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, სულ ერთია, რომელი ქართული ტომი გამოიჩენს ამას“ [22, 10 ივლისი]. ეს მწერალმა განაცხადა მაშინ, როცა აჭარის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა, კონფესიური განსხვავებებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიის საკანონმდებლო პრინციპების დამუშავების დროს, ზომაზე მეტი დათმობები მოითხოვა ერთიანი საქართველოს ინტერესების საზიანოდ. ასევე მკაცრი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ვახტანგ კოტეტიშვილის პუბლიკაციებიც [22, 10 ივლისი].

ასევე კონსტანტინე გამსახურდია და სამეგრელოდან გამოსული სხვა პატრიოტები (თოფურიძე, კვარაცხელია და სხვ.) მკვეთრად გაემიჯნენ XX საუკუნის 20-იან წლების შუა ხანებში „მაფალეულთა“ მოძრაობას და მათ წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლასაც კი ეწეოდნენ [23]. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საქმეში უშუალოდ ლ. ბერიას დამსახურებაც, რომლის ენერგიულმა ჩარევამ ეს ანტიქართული მცდელობები უკვე 30-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ შეწყვიტა. დასაშვებია, რომ ი. სტალინს ჯერ კიდევ ახსოვდა ამ

პარტიკულარული მცდელობების შესახებ და ეშინოდა, რომ მსგავს ტენდენციებს არ გამოეწვიათ საქართველოში სეპარატისტული მოძრაობების წახალისება.

ასჯერ მართალია კ. გამსახურდია – პარტიკულარიზმი საქართველოს მთავარი და შეიძლება ერთადერთი აშკარა შინაური მტერია. ყველა მტერი და მოძალადე, ყველა დროსა და ეპოქაში ცდილობდა და დღესაც ენერგიულად ცდილობს საქართველოსათვის დამღუპველი სენის – კუთხური პარტიკულარიზმის გაღვივებას. „მეგრელთა საქმე", თავისი კაცთმოძულე ფორმების მიუხედავად, მაინც წაადგა იმჟამად საერთო საქმეს – უზრუნველყო სამეგრელოს მოსახლეობის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ჩართულობა ერთიანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში.

შეიძლება ვინმე შემედავოს, რომ ეს ჩემი აღქმებია და არა ფაქტები, მაგრამ ისიც ხომ დადასტურებული ფაქტია, რომ ამ დადგენილების შემდეგ საქართველოში სეპარატიზმის ტენდენცია დიდი ხნით ამოიშანთა, თუმცა პოსტსაბჭოთა პერიოდში აშკარად შესამჩნევია გარე აქტორების მხრიდან, განსაკუთრებით რუსეთის, ევროპის ზოგიერთი ინსტიტუციის მხრიდან მცდელობა საქართველოს ერთიან სხეულზე კვლავ გააჩინონ სეპარატიზმის წყლულები, გააღვივონ მისი დამღუპველი ზეგავლენა. ამის დასადასტურებლად მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტან: საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში, სამოქალაქო ომის საწყის ეტაპზე, აშკარად ისმოდა აფხაზურ-მეგრული სახელმწიფოს შექმნის შესახებ მოწოდებები. იმჟამად ასეთი მოწოდებები იმდენად სერიოზულად აღიქმებოდა, რომ ქართველმა მწერლებმა 1992 წლის იანვარში სპეციალური მიმართვაც კი გამოაქვეყნეს: „საქართველო თავზარდაცემულია. მის ზნეობრივ სახეს, ტერიტორიულ მთლიანობას და თვით სიცოცხლეს მომაკვდინებელი საფრთხე შეექმნა. კუთხურობა, სამარცხვინო პარტიკულარიზმი თვით უდიდეს იმპერიებს აღგვის პირისაგან მიწისა და რა ხეირს დააყრის იგი ჩვენს ერთი ციდა ქვეყანას? საბედისწერო სენს შეუპყრია ჩვენი ეროვნული სხეული,

ისტორიის ჩარხი უკუღმა დაბრუნებულა და გასრესას გვიქადის... ვიკმაროთ! არც ერთი პარტია და მისი არც ერთი დოგმა, არც ერთი პიროვნება არა ღირს იმად, რომ მას ძლივს ერთ მუჭად შეკრული სამშობლოს მთლიანობა შევწიროთ!"... [24, 24 იანვარი]

არ შეიძლება არ შევეხოთ დღესაც ევროკავშირის ზოგიერთი სტრუქტურის მხრიდან საქართველოში „რეგიონალური ენების" განსავითარებლად დაწყებულ საეჭვო ფაცი-ფუცს, „რეგიონალური ენების" უფლებების დაცვის მოტივით რაღაც საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისათვის გადადგმულ მათ „ქმედით ნაბიჯებს", რასაც მომავალში აუცილებლად მოჰყვება „რეგიონალური ენებისათვის" სასათბურე პირობების მოსაწყობად სპეციალური გრანტების გამოყოფა, გრანტებს დახარბებული ადამიანების აჟიოტაჟი, ამ მიზნით სპეციალური კადრების აღზრდა, „რეგიონალური ენებისათვის" საშუალო სკოლების ორგანიზების მცდელობა, „რეგიონალურ ენებზე" პრესისა და ტელევიზიის ფუნქციონირების მოთხოვნა და ა. შ. ეს, უდავოდ, სეპარატიზმის ხელისშეწყობაა და აუცილებელია ასეთი ტენდენციების უვნებელყოფა. არ შემიძლია საგანგებოდ არ ავღნიშნო, რომ ბოლო წლებში როგორც პროფესიონალ, ისე, განსაკუთრებით, მოყვარულ ისტორიკოსებს შორის განვითარებულია არაჯანსაღი ტენდენცია, როცა მავანთ ძალიან სურთ საკუთარი კუთხის განდიდება, მათი დამსახურების წინ წამოწევა, მათთვის აკადემიური „ისტორიების შექმნა", მათი კუთხის გამორჩეულობის თეზისის დამტკიცება. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან საშიში და დამღუპველი ტენდენციაა, რომელიც რეაგირებას საჭიროებს. ვთვლი, რომ 1951 წლის ნოემბერის დადგენილებაც და ე. წ. „მეგრელთა საქმეც" საქართველოს ერთიანობის დაცვისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებადაც უნდა ჩაითვალოს – ასეთ თვალსაზრისსაც ხომ აქვს არსებობის უფლება?

ასევე მინდა შევეხო ამ დადგენილებასთან დაკავშირებულ ერთ მითს: იმ დროიდან და დღესაც გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ „მეგრელთა საქმე" სტალინმა მოიფიქრა ყოვლადძლიერი „დიდი მეგრელის" – ბერიას დასამხობად, რომლის ნიჭი, გაქანება, ამ-

ბიციები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ დიდი ბელადის ერთპიროვნულ ძალაუფლებას [13, 577-578]. ეს თვალსაზრისი უსუსურია, რადგან იოსებ სტალინს მისთვის უკვე არასასურველი მინისტრის თავიდან მოსაშორებლად სამეგრელოს პროვინციაში რამდენიმე პარტიული ფუნქციონერის დაპატიმრება და გადასახლება არ უნდა დაჭირვებოდა. ხომ ცნობილია, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ სრულიად უსახურმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ყოველგვარი „მეგრელთა საქმის" გარეშე საოცრად სწრაფად გაუკეთეს ლიკვიდაციას ლ. ბერიას, რითიც დაამტკიცეს, რომ ლ. ბერიას ძლიერება სტალინის პირად დამოკიდებულებას ეფუძნებოდა და მის გარეშე ის პოლიტიკური არენიდან ასე უკვალოდ გაქრა.

აშკარაა, რომ მიუხედავად მცდელობისა და ბრძოლის დრაკონული მეთოდების გამოყენებისა, სტალინმა ვერ შეაჩერა საბჭოთა ბიუროკრატიის დეგრადირება და მისი „წვრილბურჟუაზიული" გადაგვარება. ერთადერთი გამოსავალი, რაც სტალინმა მოიფიქრა – ეს მკაცრი რეპრესიები იყო, რაც მათი გაჯანსაღების მიზნით პერიოდულად საბჭოთა ბიუროკრატიისათვის „სისხლის გამოშვებით" მთავრდებოდა. მაგრამ როგორც კი ეს უმკაცრესი მეთოდები შეწყდა (სტალინის გარდაცვალების შემდეგ), საბჭოთა ნომენკლატურა გაიხრწნა წარმოუდგენლად სწრაფად და შედეგიც თვალსაჩინო იყო: სწორედ მათ, ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე, მოაახლოვეს სტალინის ცხოვრების ძირითადი შედეგის – საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრახი. ამიტომ „მეგრელთა საქმე" შეიძლება ამ კონტექსტშიც იყოს განხილული.

ამრიგად, სკკპ ცეკას 1951 წლის ნოემბერის დადგენილება „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ" შეიცავს ოთხ მდგენელს: 1. კრიმინალურს (კორუფცია-მექრთამეობა); 2. პოლიტიკურს (მოსკოვის კრემლის სამთავრობო კულუარებში ძალაუფლების დაბალანსების სურვილი); 3. ბიუროკრატიულს („მარშლების სინდრომი"); 4. სეპარატისტულს (კუთხური ნაციონალიზმი). პირველი სამი – კონკრეტულ ისტორი-

ულ პროცესებთან იყო დაკავშირებული და მათ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებათ. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მეოთხე – სეპარატიზმის საფრთხე, რაც დადგენილების ერთ-ერთი მუხლს შეადგენს: „უეჭველია, რომ, თუ ამხ. ბარამიას მიერ დანერგილი მეგრული შეფობის ანტიპარტიული პრინციპი სათანადო წინააღმდეგობას არ წააწყდება, თავს წამოჰყოფენ ახალი „შეფები“ საქართველოს სხვა პროვინციებიდან: ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, რომლებიც ასევე მოისურვებენ „თავისი“ პროვინციების შეფობას და იქ დანაშაულის ჩამდენთა მფარველობას, რათა ამით განიმტკიცონ ავტორიტეტი „მასებში“, და თუ ეს მოხდა, საქართველოს კომპარტია დაიშლება რამდენიმე პროვინციულ პარტიულ სამთავროდ, რომლებსაც „რეალური“ ხელისუფლება ექნებათ, საქართველოს კპ (ბ) ცკ-ისა და მისი ხელმძღვანელობისაგან კი მხოლოდ ცარიელი ადგილი დარჩება“. როგორც აღინიშნა, სტალინი უშუალოდ იყო ჩართული XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს სეპარატისტული ტენდენციების გამოვლენისა და ლიკვიდაციის საქმეში (აჭარა: 1921, 1925, 1927 წწ., სამეგრელო – 1925-1930 წწ., აფხაზეთი – 1931 წ.) და მას ეს საფრთხე საქართველოს მომავლისათვის რეალურად ესახებოდა. მსგავსი ანტისეპარატისტული შეხედულებები იმჟამად ჰქონდათ საქართველოს მამულიშვილებს (კ. გამსახურდიას, ვ. კოტეტიშვილს და სხვ.). ეს საფრთხე რომ არ გამქრალა, ამაზე მიუთითებს დღეს ზოგიერთი ევროსტრუქტურის მიერ საქართველოში „რეგიონალური ენების“ (მეგრულის, სვანურის) მიმართ ზედმეტი მზრუნველობა და მათი „განვითარების“ მიზნით გამოყოფილი გრანტების ოდენობა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა დროული და აუცილებელია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. ასლანიშვილი, მეგრელთა საქმე, თბილისი, 2005.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 8, თბილისი, 1980.
3. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971.
4. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია. თბილისი, 1991.
5. ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 2009.
6. გ. ციციშვილი, მაფალუ, თბილისი, 2007.
7. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბილისი, 2004.
8. ა. წონკოლაური, XX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულისა და 50-იანი წლების დამდეგის პოლიტიკური რეპრესიები, იხ. „საქართველოს ისტორია XX საუკუნე", თბილისი, 2003.
9. კ. ჩარკვიანი, სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები, თბილისი, 2015. გ. ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან, თბილისი, 2013.
10. გ. ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან, თბილისი, 2013.
11. А. Мгеладзе, Сталин – каким я его знал, Тбилиси, 2001.
12. Лаврентий Берия – 1953. (документы) «Россия -XX век», Москва,1999.
13. Н. Рубин, Лаврентий Берия (миф и реальность), Москва, 1998.
14. Ю. Жуков, Сталин: тайны власти, Москва, 2005.
15. С. Рыбас, Е. Рыбас, Сталин – судьба и стратегия, т. 2, Москва, 2007.
16. Н. Верт, История советского государство, Москва, 2002.
17. А. Автарханов, Загадка смерти Сталина (заговор Берия), Москва,1981.
18. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, მე-2 განყოფილება, ფ. 14, აღ. 25, საქ. 6.
19. იქვე, აღ. 26, საქ. 20.
20. იქვე. აღ. 4, საქ. 5.
21. იქვე, აღ.6, საქ. 33.
22. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ, 10 ივლისი.
23. გაზ. „კომუნისტი", 1925.
24. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992.

Alexander Daushvili
Doctor of Historical sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History

Once More about So-Called „The Megrelians Case"

Summary

The Resolution of the Central Committee of the All-Union Communist Party (Bolsheviks) from November 1951 „On Corruption in Georgia and the Anti-Soviet Group of Comrade Baramia" consists of four points: 1. Criminal (corruption-bribery); 2. Political (the desire to balance power behind the scenes of the Moscow Kremlin); 3. Bureaucratic („syndrome of marshals"); 4. Separatist (regional nationalism). The first three points were connected with specific historical processes and have only historical significance. But the fourth – the danger of separatism – is the most threatening, which is one of the points of the resolution. „There is no doubt that if the anti-party principle of the Megrelian leadership, established by Comrade Baramia, does not meet with due resistance, then leaders (chiefs) from other provinces of Georgia will stick their heads out. From Kartli, Kakheti, Imereti, Guria, Racha will also want to become leaders (chiefs) of „their" provinces" and protect those who commit crimes there, thereby strengthening their authority among the „masses". If this happens, the Communist Party of Georgia will disintegrate into several provincial party provinces, which will have „real" power and will leave the Central Committee of the Georgian CP (b) and its leaders aside. „It is known that Stalin himself was interested in identifying separatist tendencies in Georgia in the 1920s and eliminating them (in Adjara – 1921, 1925, 1927, in Samegrelo – 1925-1930, in Abkhazia – 1931). He saw that this danger threatened Georgia in the future too. Georgian patriots (K. Gamsakhurdia, V. Kotetishvili, etc.) held the same views. This danger has not disappeared, as evidenced by the excessive concern of some European structures about „regional languages" (Megrelian, Svan) in Georgia and the issuance of grants, legislative acts, etc. for their „development". The fight against such attempts is timely and obligatory.